რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 60 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 60

# შეწყდა ხოცვა-ჟლეტა

## დამყარდა დროებითი ზავი

## ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ფრონტზე

**გაუმარჯოს საერთო ზავს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!**

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

**ბრძოლა**

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: ერთიწლით ღირს 24 მ.
ნახევარი წლით „ 12 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

### მენშევიკების დაცემა.

მენშევიკებმა სავსებით გაიარეს თავისი სავალი გზა და ლოღიკურათ მიადგენ ნაციონალიზმს. ყველა ჯურის ნაციონალისტებთან მათ გამონახეს საერთო ნიადაგი, შექმნეს საერთო ლაშქარი და, ამ სასახელო მოღვაწეობაში ისე მშვენივრათ გრძნობენ თავს როგორც ის გვამი, რომელზედაც ხალხს უთქვამს: ღვთისა ეშინია, ძლარც ალარც ხალხისა სცხვენიაო.

რომელი მენშევიკი მოგითმენდათ, ამ რამდენიმე თვის წინათ, რომ გეთქვათ: ობიექტიურათ თქვენ ისეთ გზას ადგეხართ, რომ აუცილებლათ დაუახლოვდებით ნაციონალისტებს, მათთან ერთათ ბლოკს შეკრავთ რუსეთის პროლეტარიატის წინაალმდეგო. ასეთ პერსპექტივაზე მენშევიკს მაშინ პრინციპის ღალატისაც შეეშინდებოდა და პარტიული მასისაც შერცხვებოდა.

დღეს ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგევართ. მენშევიკებმა უარყვეს ინტერნაციონალი, აფრიალეს ნაციონალური დროშა და „გაუმარჯოს საქართველოს" ყიჟინით არე-მარეს აყრუებენ.

რევოლიუცია ულმობელია, ის არავითარ ანგარიშს არ უწევს რევოლიუციონური ფრაზების კორიანტელს და ყოველ კლასს, ჯგუფს და პარტიას მათი საქმის, სულისკვეთების და მდგომარეობის მიხედვით თავ თავის ადგილზე აყენებს. იყო დრო, როდესაც კადეტებიც რევოლიუციონერებათ მიაჩნდა ხალხს მენშევიკების წყალობით. დღეს ვინლა გაბედავს ამის მტკიცებას, ან ვინ დაუჯერებს, კიდეც რომ გაბედოს?

ამ რამდენიმე თვის წინათ ვის დააჯერებდით, რომ მემარჯვენე ესერები აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ გზას დაადგებოდენ? დღეს ეს ფაქტია და სრულიათ ზედმეტია ახლა მისი შესაძლებლობის ლოღიკური მოსაზრებებით მტკიცება.

დღეს ბევრს უკვირს ჩვენებური მენშევიკების ასე უზომოთ დაცემა, ასე აშკარათ გადასვლა გუშინდელი მათი მტრების ბანაკში. მაგრამ აქ საკვირველი არაფერია. ეს დაცემა გუშინ არ დაწყებულა და მართალია, ის ძალიან მალე დასრულდა, მაგრამ ამის მიზეზიც იგივე რევოლიუციაა, რომელიც არ ინდობს არც ცალკე პირებს და არც პარტიებს და შეუბრალებლათ ფხრეწს ყოველივე ნიღაბს და საფარს.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ კავკასიაში მენშევიკები წარმოადგენდენ ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც უდიდესი გავლენა ქონდა მეტადრე ქართველ ხალხში. ის სწრაფათ მიდიოდა გამარჯვებიდან გამარჯვებაზე და შექმნა თავის გარშემო საერთო თანაგრძნობის ატმოსფერა.

მაგრამ ეს თანაგრძნობა არ გამოდიოდა ერთნაირათ მოაზროვნე ხალხიდან, ის არ გამომდინარეობდა მტკიცეთ განსაზღვრულ კლასიური მდგომარეობიდან, როდესაც საერთო სულიერი განწყობილება და მის შესაფერი მოქმედება კლასიურ შეგნებათ ყალიბდება. ეს იყო თანაგრძნობა ერთნაირათ უკმაყოფილო ხალხის, რომელიც აერთიანებს სოციალურათ მეტათ ჭრელ და ერთმანეთზე დიდათ დაშორებულ ხალხის ჯგუფებსა და წრეებს. ასეთი ელემენტებით შეკოწიწებულ მთელში კლასიური შეგნება არასოდეს არ ჩამოყალიბდება.

მიუხედავათ ამისა, საერთო თანაგრძნობის ატმოსფერა მეტათ მიმზიდველია და მენშევიკებმა ისე ღრმათ შესტოპეს მის შენარჩუნების მისწრაფებაში, რომ თავისი კლასობრივი ტეორია საქმით უარყვეს და მხოლოთ სიტყვით-ღა შეინარჩუნეს. ამის მიხედვით, ისინი მოძრაობის გაღრმავების ნაცვლათ მთელ ძალღონეს ალევდენ მის გაფართოებას და მით მეცნიერული სოციალიზმის ინტერესები მსხვერპლათ შესწირეს სოციალური მესიანიზმის ინტერესებს.

ასეთი მისწრაფების დროს კლასიური პარტია აუცილებლათ ჩამოდის თავისი შეურიგებელი პოზიციიდან და ნაციონალურ პარტიათ იქცევა. მაგრამ რამდენათაც ის სავსებით არ სწყვეტს კავშირს ძველ პოზიციასთან და ცდილობს როგორმე მოარიგოს იგი ახალთან, პარტია რყევას განიცდის და ოპორტუნიზმში ვარდება.

ოპორტუნიზმში პირდაპირი გზაა ნაციონალიზმისაკენ, მაგრამ ეს შეიძლება დიდხანს არ გამოაშკარავდეს, ისეთი პარტია, რომელიც თავისი ნაციონალური შემადგენლობით ერთგვარია (როგორც მაგ. გერმანიის ან საფრანგეთის სოციალდემოკრატია), შეიძლება არ გასცილდეს ოპორტუნიზმს კლასიური პოზიციის უარყოფით; ნაციონალიზმი მასში დაფარულათ შეინახავს თავს, სანამ მისი მოქმედების საზღვრები არ სცილდება საკუთარი ხალხის საზღვრებს. მაგრამ საკმარისია ამ საზღვრებიდან გამოსვლა და ინტერნაციონალურ მასშტაბში ამოძრავება, რომ ოპორტუნიზმი აშკარათ წინ გამოუძღვეს უსაშინელეს ნაციონალიზმს. ეს სავსებით ცხადყო მსოფლიო ომმა შეიდემანების მაგალითზე. ეს გარემოება რომ არ ყოფილიყო, შეიდემანებს ვერავინ ვერ უკიჟინებდა ნაციონალიზმს, რომელიც, ვიმეორებთ, დიდხანს ფარულათ ინახავს თავს ერთგვარი შემადგენლობის პარტიაში.

მაგრამ ისეთი პარტია, რომელიც თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია, ე. წ. ვიწრო კლასიური თვალსაზრისის უარყოფით და უფრო ფართო ნაციონალური მიზნების დასახვით აუცილებლათ ვარდება ოპორტუნიზმის გარდა უფრო დიდ ცოდვაში, სახელდობრ ნაციონალიზმში.

როგორი იყო ადგილობრივი მენშევიკების კლასობრივი პოზიცია? უკანასკნელ დრომდი ისინი აწარმოებდენ საშინელ ბრძოლას ადგილობრივ ანტი-პროლეტარულ და ნაციონალისტურ პარტიების წინააღმდეგ. კლასიური შეურიგებლობა აქ სავსებით დაცული იყო. მაგრამ ამავე დროს საერთო რუსეთის მასშტაბში ისინი აწარმოებდენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას, იცავდენ მასთან თანამშრომლობას და სხ. აქ კლასიური შეურიგებლობის ნაცვლათ აშკარა ოპორტუნიზმია.

რით აიხსნება მათი ასეთი ორმაგი პოლიტიკა? მათი ეგრეთ წოდებული რუსეთის ორიენტაცია აიძულებდა მათ ანგარიში გაეწიათ სწორეთ რუსეთის ბურჟუაზიისთვის და თავისი კლასიური პოზიციაც მასთან დამოკიდებულებაში ჩამოეყალიბებიათ. აქ მათ სავსებით განამტკიცეს თავისი ოპორტუნიზმი.

მაგრამ იმავე ოპორტუნიზმის ადგილობრივათ დანერგვა შეუძლებელი იყო, რადგან ეს ნიშნავდა აღნიშნული ორიენტაციის ადგილობრივ მოწინააღმდეგეებთან მათ დაახლოვებას და მით პოლიტიკური ასპარეზიდან განდევნას, გაქრობას. ისინი ადგილობრივათ შეურიგებლობის გზას დაადგენ და რაკი აქაური ცხოვრებისთვის ეს მოღვაწეობა უფრო დაახლოვებული და ადვილ დასანახი იყო, მათაც სახელი მოიხვეჭეს, როგორც შეურიგებელმა და ინტერნაციონალისტურმა პარტიამ.

რუსეთის მასშტაბში ოპორტუნიზმი, კავკასიის მასშტაბში შეურიგებლობა—ასეთი კავშირი აქვს მათი მოღვაწეობის ორ მხარეს.

რომ ეს კავშირი შემთხვევითი არ არის, აშკარათ სჩანს იქიდან, რომ, როგორც კი იცვლება ერთი მხარე, მის მოწინააღმდეგეთ მაშინვე იცვლება მეორე მხარე. უკანასკნელ ხანებში მენშევიკებმა იცვალეს ფრონტი და ოპორტიუნისტებიდან რევოლიუციონერებათ გადაიქცენ. მათ კონტრ-რევოლიუციონურათ იცნეს რუსეთის ბურჟუაზია და ომი გამოუცხადეს მას. ამავე დროს მათ იწყეს დაახლოვება ადგილობრივ ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ პარტიებთან და შექმნეს მათთან ერთათ ინტერპარტიული საბჭო. მაშასადამე რუსეთის მასშტაბში შეურიგებლობას მოყვა ადგილობრივ მასშტაბში ოპორტუნიზმი.

მაგრამ მთელი ეს შეურიგებლობა იყო მხოლოთ ორიენტაციის შეცვლა. მენშევიკებს არავითარი ბრძოლა არ უწარმოებიათ რუსეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. როდესაც რუსეთის ბურჟუაზია დამარცხდა, მათ ვეღარ განაგრძეს თავისი ორიენტაცია დამარცხებულისადმი და ადგილობრივ ბურჟუაზიას მოაშურეს. ამ უკანასკნელთან დაახლოვება კი შესაძლებელია მხოლოთ ნაციონალურ ნიადაგზე და აი იდგმება მთელი რიგი ჯერ გაუბედავი და მერე თანდათან გაბედული ნაბიჯებისა, რის შედეგათ ინტერნაციონალი მსხვერპლათ ეწირება ნაციონალურ ინტერესებს.

ნაციონალურ პოლკების შედგენას დიდათ ეწინააღმდეგებოდენ მენშევიკები, უწოდებდენ მას კონტრ-რევოლიუციონურ ნაბიჯს და სხ. ახალი ორიენტაციის შემდეგ მათ დასთმეს ეს პოზიცია და ნაციონალისტებთან ერთათ მოითხოვეს ამ პოლკების შედგენა. უფრო დამახასიათებელია ინტერპარტიული საბჭოს შედგენა, რაც ძლიერ ემწუთხა მენშევიკების პარტიულ მასას და მისი დაჟინებითი მოთხოვნით ერთხანს ვითომ კიდეც გამოვიდენ მენშევიკები ამ საბჭოდან. მაგრამ მალე ნახეს, რომ დიდათ დაქანებულან ნაციონალიზმის ჭაობისკენ და გამოსავალი აღარა აქვთ. ისინი აღარ შეეპუენ თავის მასას და არხეინათ განაგრძეს საბჭოში მოღვაწეობა. ამავე დროს მათ წინადადება შეიტანეს ქალაქის საბჭოში ქართველი კათალიკოსის კურთხევის გამო, რომელსაც იგინი დიდ პროგრესიულ ნაბიჯათ აღიარებდენ. აქ კი განიცადეს პატარა რყევა და თავისი წინადადება თითონვე მოხსნეს. ბოლოს გათავდა რყევის ხანა და ისინი გადაჭრილი ნაბიჯით, თითქმის ძუნძულით წავიდენ იმ გზით, რომელზედაც კარგა ხანია შემდგარი იყვნენ. მათ შეადგინეს საქართველოს ეროვნული საბჭოა, საიდანაც ყველა ნაციონალისტებთან ერთათ ებრძვიან პროლეტარიატის პარტიას—ბალშევიკებს.

როგორც ხედავთ მენშევიზმმა ბუნებრივათ შეასრულა თავისი გზა. მისი ლიდერები თავში მოექცენ მთელ ნაციონალისტურ ბანაკს. როგორ მოხდა ეს? ნაციონალისტები იყვნენ და მიტომ ოპორტუნისტობდენ, თუ ოპორტუნისტები იყვნენ და მიტომ განაციონალისტდენ—ეს კითხვა ჩვენ არ გვაინტერესებს. მენშევიზმმა დღეს სრული კრახი განიცადა; ის დაიმსხვრა რუსეთში, როგორც ოპორტუნიზმი, კავკასიაში, როგორც ნაციონალიზმი.

## მენშევიკური მუშ. დეპ. საბჭო და ჩვენი ტაქტიკა

ცნობილია, რომ მენშევიკები, მეტადრე ჩვენებური მენშევიკები, საუცხოვო დემაგოგები არიან. ცნობილია აგრეთვე, რომ ისინი წმინდა წყლის ბურჟუაზიული დიპლომატები არიან, ე. ი. ისეთები, რომელთა შესახებ ტალეირანმა სთქვა: ენა იმისთვის გქონდეს, რომ საუკეთესოთ დაფარო თავის გულის—ნადები, თავის აზრებიო. ცნობილია, რომ მენშევიკები სიტყვით ერთს ამბობენ, საქმით კი სულ სხვა რამეს აკეთებენ, მათ სიტყვას და საქმეს შორის დიდი ზღვარია. ცნობილია, რომ მენშევიკები პოლიტიკურ—რევოლიუციონურ გულწრფელობას სრულიათ მოკლებული არიან; სამაგიეროთ ისინი უხვათ დაჯილდოვებულნი არიან თვალთმაქცობით და ფარისევლობით. ცნობილია, რომ მენშევიკებს არ შეუძლიათ აწარმოვონ წმინდა კლასიური, პროლეტარული, მარქსისტულ—რევოლიუციონური, პირდაპირი, პრინციპიალური შეურყეველი პოლიტიკა. სამაგიეროთ მათი პოლიტიკა—ეს რყევის, ორჭოფობის, ორ სკამზე ჯდომის, წაჯიქუკუჯიქობის, სრული უპრინციპობის და ოპორტიუნიზმის პოლიტიკაა. ცნობილია ისიც, რომ აღნუსხული თვისებებით დახასიათდება საზოგადოთ ყოველი წვრილ-ბურჟუაზიული პარტია და კერძოთ—წვრილ-ბურჟუაზიული პარტია მენშევიკებისა. ცნობილია, რომ მენშევიკებს ერთობ აწიწმატებს ასეთი დახასიათება მათი ნამდვილი, რეალური შინაგანი ბუნების, ისინი თავს იკატუნებენ უსამართლოთ, უდანაშაულოთ შეურაცხყოფილ უმანკოებათ, მარა რა უნდა ქნან უტყუარი, შეურყეველი ფაქტის წინაშე. ისინი უძლური არიან თავი იმართლონ სიტყვით, როცა საქმენი მათნი აშკარათ ლაღადებენ მათ წინააღმდეგ.

შევჩერდეთ ერთ ახალ ფაქტზე, რომელიც საუკეთესო ილიუსტრაციაა (მაგალითი) ზემოთ გამოთქმული აზრის დაამტკიცებლათ.

შაბათს, 16 დეკ. სხდომა ქონდა თფ. მუშათა დეპუტატების საბჭოს. თავმჯდომარეობდა ჩვენებური ობორონცების ცნობილი ბელადი—ნ. ჟორდანია. უმთავრესი საკითხები იყო: 1. ხელახალ არჩეულ დეპუტატების (მანდატების) დამტკიცება. 2, არჩევნები მუშათა სექციის აღმ. კომიტეტში. 2, არჩევნები დელეგატების—კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოების სიეზდზე, რომელიც უნდა გახსნილიყო 17 დეკ. თფილისში. დიდი დავა, შეხლა-შემოხლა, ობსტრუქცია გამოიწვია პირველმა საკითხმა—მანდატების დამტკიცებამ და ეს სრულიათ ბუნებრივი იყო. რატომ? გამოირკვა, რომ ძველ მენშევიკურ საბჭოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო სისტემის წყალობით განახლებულ მუშათა საბჭოში გასულან თითქმის ყველა მენშევიკები, დაშნაკთა და ესერთა მცირე რიცხვის მიმატებით. ამ სისტემის წყალობით საბჭოს გარეთ დარჩენილან რამდენიმე ათასი მუშების წარმომადგენელნი—დეპუტატები, არჩეულნი უმცირესობის მიერ. როგორ მოხდა ეს? საქმე იმაშია, რომ ამ საარჩევნო სისტემის ძალით (რომელსაც ეძახიან მაჟორიტარულ სისტემას) თვითეული ორგანიზაციის კრება (პროფ. კავშირი, ფაბრიკა-ზავოდი, ცეხი, სახელოსნო და სხვ.) ირჩევს დეპუტატებს ხმის აბსოლუტური (ე. ი. ნახევარზე მეტი) უმეტესობით; უმცირესობა კი, რაც უნდა მრავალრიცხოვანი იყოს იგი, რჩება უდეპუტატოთ, უწარმომადგენლოთ. მაგ. მუშების რომელიმე ორგანიზაცია შესდგება, ვთქვათ, 1000 კაცისაგან. საბჭოს წესდების ძალით 100 კაცი ირჩევს ერთ დეპუტატს ვთქვათ, რომ ამ კრებაზე მუშები ეწხრობიან მხოლოთ ორ პარტიას: მენშევიკებს და ბალშევიკებს. ამ შემთხვევაში კენჭი ეყრება ორ სიას: № 1 და № 5. ვსთქვათ, პირველ ნომერს ხმა მისცა 501 კაცმა, მეორეს 499. ამ სისტემის ძალით ამ შემთხვევაში ათივე დეპუტატი არჩეულ უნდა იქნეს პირველი სიიდან, რომელმაც უმეტესობა მიიღო, თუ გინდ ერთი ხმითაც კი მეორე სიიდან კი, რომელმაც უმცირესობა მიიღო, თუ გინდ ერთი ხმით, ვერ გადის ვერც ერთი დეპუტატი.

აი ასეთი საარჩევნო სისტემის წყალობით განახლებულ მუშ. საბჭოში მოხდენ მხოლოდ ობორონცები მენშევიკების მეთაურობით და საბჭოს გარეშე დარჩენ რამდენიმე ათასი მუშები, რომლებიც იზიარებენ ბალშევიკურ, ინტერნაციონალისტურ პოზიციას.

ძველმა მენშევიკების საბჭომ დააკანონა ასეთი საარჩევნო სისტემა იმ განძრახვით, რომ საბჭოდან გაერეკა ბალშევიკურათ მოაზროვნე პროლეტარიატი და კიდეც მიაღწია მიზანს: ამიერიდან „განახლებულ" მუშ. დეპ. საბჭოში ვეღარ გაიგონებთ ხმას ბალშევიკებისას, ე. ი. რევოლიუციონურ სოციალისტებისას.

ამ სისტემის წყალობით მოხდა ის, რომ თფ. პროლეტარულ ცენტრიდან (მთავარი სახელოსნოები და რკინის გზის დეპო) ბალშევიზმის მომხრე 1600 მუშა დარჩა იმ ორგანიზაციის გარეშე, რომელსაც ჰქვია მუშათა დეპუტატების საბჭო! ამ სისტემის წყალობით რევოლიუციონურ-დემოკრატიულ და სოციალისტურ ორგანოს (ასეთი უნდა იყოს მუშათა საბჭო) გარეშე დარჩენ მუშები, რომლებიც დგანან ნამდვილი რევოლიუციონურ-დემოკრატიულ - სოციალისტურ ნიადაგზე.

აი, ამ კითხვის გარშემო ბალშევიკებმა ამ სხდომაზე შეეცადენ პრინციპიალურ კამათში, დავაში გამოეწვიათ მენშევიკები, მარა ამაოთ: მენშევიკურ ობორონცული საბჭო, ხელახლ ჩაკიდებული თავის პრეზიდიუმთან ერთათ, სასტიკი წინააღმდეგი იყო კამათის ბალშევიკების მიერ წამოყენებულ კითხვის გარშემო: რომ მაჟორიტარული სისტების მაგიერ განახლებულ საბჭოში აერჩიათ დეპუტატები პროპორციონალური სისტემის საფუძველზე, როცა თვითეულ პარტიას, რომელსაც ძირი გადგმული აქვს მუშათა მასაში, შეუძლებელია საბჭოში იყოლიოს თავის წარმომადგენლები. მიუხედავათ იმისა, რომ პრეზიდიუმი და მისი მონა-მორჩილი მენშევიკური საბჭო თავგამოდებით ცდილობდა ხელის შეშლას მოწინააღმდეგეებისათვის, ბალშევიკური ფრაქციის წარმომადგენლებმა—ფ. მახარაძემ და თ. კალანდაძემ—მაინც შესძლეს სასტიკათ დაგმობა ამ საბჭოის და მისი მეთაურების საქციელის. მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ მენშევიკები გაურბიან საუკეთესო დემოკრატიულ საარჩევნო სისტემას, რომლის თანახმათ არჩევნები ხდება ქალაქ. და ერობათა საბჭოებში, დამფუძნებელ კრებაში და სხ. მათ დაგმეს მენშევიკების ფარისევლობა და თვალთ მაქცობა, დემოკრატიის მათ მიერ—დატყუილება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ სახელით უპარტიო, რევოლიუციონურ-დემოკრატიული და სოციალისტური ორგანო, საქმით გახდეს პარტიულათ (მენშევიკურათ), არა დემოკრატიულათ, არა რევოლიუციონურათ, არა სოციალისტურათ; ერთი სიტყვით—ობორონცულ კონტრ-რევოლიუციონურათ. მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ მენშევიკები ამ საქციელით პირდაპირ თიშავენ პროლეტარიატს და ეუბნებიან მას: მუშა მენშევიკს არაფერი საერთო არა აქვს მუშა ბალშევიკთან, ისინი ერთმანეთის მოსისხლე მტრები არიანო. აი ამის მომქმედი ხალხი უსირცხვილოთ გაიძახის: რასკოლნიკებია ბალშევიკებიო. მათ კატეგორიულათ მოსთხოვეს მენშევიკურ საბჭოს, დაემტკიცებიათ არჩევნები პროპორციონალურ ნიადაგზე და როცა ამ სამართლიან მოთხოვნილებაზე მენშევიკებმა უტიფარი დაცინვით გაგვცეს პასუხი, ჩვენმა ფრაქციამ პრეზიდიუმს გადასცა წერილობითი განცხადება შემდეგი შინაარსის: „ჩვენ, ბალშევიკები, უარს ვამბობთ მუშათა სექციაში მუშაობაზე მანამ, სანამ ის არ განახლდება პროპორციონალურ არჩევნების საფუძველზე, ამავე დროს, ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას სალდათთა და მუშათა გაერთიანებულ საბჭოში.

ეს დადგენილება არის ერთად ერთი სწორი პოზიცია, რომელიც აუცილებლათ გამომდინარეობს მენშევიკების სამარცხვინო ნაბიჯიდან.

მოწინავე მუშების ვალია, აწარმოვონ სისტემატიური და შეურიგებელი კამპანია მენშევიკურ საბჭოს წინააღმდეგ და აიძულონ იგი პროპორციონალურ სისტემის მიღებას. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ყოველი მუშა რომელსაც დემოკრატათ მაინც მიაჩნია თავი.

ბალშევიკურმა ფრაქციამ ამ განცხადების შემდეგ კრება დემონსტრატიულათ დასტოვა.

დანარჩენი ორი კითხვაც მენშევიკურმა საბჭომ, რასაკვირველია, მენშევიკურათ გადასწყვიტა: აღმ. კომიტეტში და სიეზდზე აირჩიეს მხოლოთ ობორონცები.

ამნაირათ, როგორც მკითხველი ხედავს, მენშევიკებს უკანასკნელი იერიში მოაქვთ ბალშევიკებზე, ჩვენი ვალია, თავი დავიცვათ და შეტევაზე გადავიდეთ.

**დამხწრე.**

## ბრძოლა თავისუფლებისათვის და ზავისთვის რუსეთში.

**წერილი კლარა ცეტკინისა**

(დასასრული).

რას გვეუბნება ჩამოთვლილი ფაქტები: აყენებენ თუ არა ყირამალა ჩვენს მოძღვრებას—„საზოგადოებრივ პირობათა მომწიფების" შესახებ, როგორც აუცილებელს იმ გვარ „გადატრიალებისთვის", რომელიც რუსეთში მოხდა? ნ იქმება, იმ გარემოებას, რომ რუსეთი როგორც თავის ეკონომიური განვითარებით, ისე ხალხის უკან ჩამორჩენით, და იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ისტორიულ სინამდვილესა და დაწყებულ რევოლიუციის მიზან შორის—გამოაქვს სასიკვდილო განაჩენი ბალშევიკურ აჯანყებისათვის და მაშასადამე თვით რევოლიუციისთვისაც? ასე ფიქრობს საზღვარ-გარეთ სოციალისტი, ასევე ფიქრობენ რუსეთში ზომიერი სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლიუციონერები. ამ მწუხარების მომგვრელმა კითხვებმა—რამდენათაც ეს გაზეთებიდგანა სჩანს—ბალშევიკებისგან მომხდარ გადატრიალების წინაშე ისევ მხდლურათ შეატანია ეჭვი მშრომელთა მასას თავის რევოლიუციონურ ძალაში და იმედი აღუძრა ლიბერალურ ბურჟუაზიისადმი. რუსეთი მიწათმოქმედების

...ქვეყანაა, კაპიტალისტურ მრეწველობის ცენტრები თავიანთის რევოლიუციონურის პროლეტარიატით ძალიან დაშორებულია ერთი ერთმანეთისგან და გაფანტული აქა იქ მთელი რუსეთის ...ზე. მიმოსვლის საქმე ცოტათია განვითარებული. პროლეტარიატის გლეხობაზედ დამოკიდებულება იდეოლოგიურათ ჯერ კიდევ დიდია. ფართო მასამ არ იცის წერა-კითხვა, არა აქვთ ძლიერი ორგანიზაციები თავისი მდიდარი კასებით, არა აქვთ პოლიტიკური გამოცდა, რომელიც არჩევნების შემწეობით და პარლამენტარიზმით შეიძინება. ამიტომ იქნება ეს გადატრიალება წარმოადგენს მსუბუქათ მოფიქრებულ ავანტიურას, და სასურველიც არ იყოს ამ პირობებში პროლეტარიატის დიქტატურა?!

ეს მოსაზრებმ თითქო ახლოა ჭკუასთან, მაგრამ დარწმუნებით კი ვერაფერში ვერ დაგვარწმუნებს. რა თქმა უნდა ჩამოთვლილი პირობები დიდ დაბრკოლებებს ჰქმნიან. ნივთიერი ძალების და ხალხის „საჭირო სიმწიფე“ რევოლიუციისათვის შეადგენს ფორმულას, რომელშიაც სინამდვილე შეიტანს ხოლმე სიცოცხლეს და შინაარსს. ეს სინამდვილე კი ნებას ვერავის აძლევს, რომ ის ამა თუ იმ სქემაში მოათავსონ. ისტორიული მატერიალიზმი არ წარმოადგენს კარაბადინს, რომელიც სავსეა რეცეპტებით კაცობრიობის ისტორიულ განვითარების ექიმობისათვის. რუსეთის ეკონომიური და სოციალური განვითარება უნდა გაიზომოს საკუთარის საზომით, და არა ძველი კულტურული ევროპის ადლით. ეს განვითარება მეორის მხრით აერთიანებს თავისში აზიას, ევროპას და ამერიკას. თუ რუსეთის ხალხს არ გაუვლია კულტურის ის შკოლა, რომელსაც დასავლეთ და საშუალო ევროპაში წარმოადგენდა „ქალაქის ამქრული დაწყობილება“, სამაგიეროთ ის, რუსეთი, არ არის გამსჭვალული ყველა წვრილ-ბურჟუაზიული ტრადიციებით და კავშირებით, რომელიც ჩვენში ისე ძლიერათ ბორკავს მასის გაბედულობას. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. პირობები და ხალხი უნდა ჩაითვალოს მომწიფებულათ რევოლიუციისათვის, როდესაც კი ფართო მასსა აუტანელ ტანჯვასა გრძნობს, როდესაც მათ აღარა სჯერათ მთავრობისა, რომ ის შეუმსუბუქებს მათ ტანჯვა-ვაებას, როდესაც მასსა მხოლოთ თავის საკუთარ ძალღონეს ეყრდნობა. ის უფრო მეტს გვეუბნება, ვიდრე როთული „სოლასტიკა“. ბევრი წილი იმ გუნდებისა, რომლებზედაც კრომველი ეყრდნობოდა შესდგებოდა უვიც წერა-კითხვის უცოდინარ, მაგრამ ფსალმუნებით მღალადებელ პირებისგან; აგრეთვე ისინიც, რომელთაც ბასტილია აიღეს იმდენათ გაუნათლებელი იყვნენ, რომ თვიანი რევოლიუციონურ გაზეთსაც ვერა კითხულობდნენ. რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა უნდა ვიფიქროთ, მომწიფდა რევოლიუციისათვის, ძალა უფლებისთვის საბრძოლველათ, თუ ის დღეს მიდის რევოლიუციონური გზით, თუ მოწყურებულია მილოს ხელთ სახელმწიფო ძალა-უფლება და ამისთვის ბრძოლას არ უფრთხის. მთელი პოლიტიკური უფლების ხელში ჩაგდება და სახელმწიფოს ძალა-უფლების აღება ერთი და იგივეა. რევოლიუცია არ კმაყოფილდება, როდესაც ის იგდებს ხელში პოლიტიკურ უფლებას. საჭიროა აგრეთვე, რომ მან ეკონომიურ და სოციალურ მხარეებშიაც ჩაქუჩით მისჯღლოს, რომ ახალი რამ გამოსჭედოს. რუსეთში, რევოლიუციის სოციალური შინაარსი არის აუცილებლობა რევოლიუციის ცხოველ ძალისა. საბჭოს ძალა უფლება მისცემს გლეხებს მიწას, მუშებს მრეწველობის კანტროლს, მოახდენს გადატრიალებას, რომელსაც თუმც დიდი დაბრკოლება გადაელობება წინ, სამაგიეროთ ბოლშევიკების აჯანყებას მისცემს დიად ისტორიულ მნიშვნელობას, როგორც რუსეთისთვის, აგრეთვე დანარჩენ ქვეყნებისთვისაც. უმთავრესი პირობა, რომელიც შეაძლებინებს რევოლიუციას განახორციელოს თავისი პროგრამა, არის ზავი. და რევოლიუციონური მთავრობაც მიისწრაფვის ზავისკენ და იმავე დროს არა ღალატობს იმ პრინციპს, რომელიც ბოლშევიკებმა ომის დაწყებიდანვე პროლეტარიატი ამცნეს: „რუსის პროლეტარიატი შეურიგებელის მტრობით უყურებს არამც თუ ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალიზმს, არამედ მთელ ქვეყნის იმპერიალიზმს, რუსეთის იმპერიალიზმის გამოუკლებლათ. რუსეთის პროლეტარიატი დაკავშირებულია არა მარტო მოკავშირეთა პროლეტარიატთან არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან, ცენტრალურ სახელმწიფოების პროლეტარიატს გამოუკლებლათ.“

აი დღევანდელი რევოლიუციონური მთავრობის თვალსაზრისი, რის გულისთვისაც ის მიილტვის ზავისაკენ. მან უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი წინასწარ მორიგებისკენ, ის დამოუკიდებელია საიდუმლო ხელშეკრულობაზე, რომლითაც რუსეთის იმპერიალიზმმა მიაჯაჭვა თავისი ხალხი და ქვეყანა მსოფლიო იმპერიალიზმს.

როგორც უნდა გათავდეს დღევანდელი გმირული ბრძოლა ზავისთვის და რუსეთის მუშა ხალხის ძალა-უფლებისთვის—ერთი რამ აშკარაა, სახელდობრ ის ცუდათ არ ჩაივლის „ეს განწირული სულის კვეთება და ისტორიაში ღრმათ დასტოვებს „გზასა თვლილსა“. ის არამც თუ დაწყებულ საქმის გამარჯვებით დამთავრდება, რომელიც სწყურიან მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, არამედ თვით ფაქტი ამ „განწირული“ ბრძოლისა, გააღვიძებს ყველგან შემოქმედებითი სიცოცხლეს.

## იმპერიალიზმი, როგორც ახალი საფეხური კაპიტალიზმისა.

(გადმოღ. ლენინის წიგნიდან).

### 4. კაპიტალის გატანა.

ძველ კაპიტალიზმს, სადაც გამეფებული იყო თავის სურვილზე მეტოქეობა, ახასიათებდა საქონლის გატანა. ახალ კაპიტალიზმს, სადაც გამეფებულია მონოპოლია. ახასიათებს კაპიტალის გატანა.

კაპიტალიზმი—ეს საქონლის წარმოებაა, რომელსაც მიუღწევია თავისი განვითარების უმაღლესი საფეხურისთვის როდესაც მუშა ძალაც საქონელი ხდება. დამახასიათებელი მოვლენა კაპიტალიზმისა ის არის, რომ იზრდება საქონლის გაცვლა-გამოცვლა როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო „საზღვრებშიაც. კაპიტალიზმის დროს აუცილებელია, რომ თანასწორათ არ ვითარდება მრეწველობის სხვა დასხვა დარგები, თანასწორათ არ ვითარდება სხვადასხვა ქვეყნები.

ყველაზე ადრე ინგლისი გადაიქცა კაპიტალისტურ ქვეყანათ, მან შემოიღო თავისუფალი ვაჭრობა და მე-19-ე საუკუნის ნახევარში ის ითვლებოდა „მთელი ქვეყნის სახელოსნოთ“, რომელსაც უნდა მიეწოდებია მთელი ქვეყნისთვის ფაბრიკის წარმოების და სამაგიეროთ მათგან მიეღო ნედლი მასალა. ინგლისს მაშინ მონოპოლია ქონდა.

მაგრამ მე-19-ე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეს მონოპოლია შეირყა. რადგან სხვა ქვეყნებმა მისგან ბაჟებით „დაიცვეს“ თავი და განვითარდენ დამოუკიდებელ კაპიტალისტურ სახელმწიფოებათ.

მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ სხვა გვარ მონოპოლიების დაარსებას. განვითარებული კაპიტალიზმის ყველა ქვეყნებში არსდება კაპიტალისტების მონოპოლისტური კავშირები, გარდა ამისა, ამ დროს იქმნება მონოპოლიური მდგომარეობა ზოგიერთ უმთავრესი ქვეყნისა, რომელშიაც კაპიტალის დაგროვებამ უდიდეს საზღვრებს მიაღწია. მოწინავე ქვეყნებში კაპიტალის დიდი სიჭარბე შეიქნა.

რა თქმა უნდა, კაპიტალიზმს, რომ შეეძლოს განავითაროს მიწათ-მოქმედება, რომელიც ყველგან საშინლათ ჩარჩა მრეწველობას, მას რომ შეეძლოს გააუმჯობესოს მცხოვრებთა დიდძალი მასის ცხოვრება, რომელიც, მიუხედავათ ტეხნიკის თავ-ბრუ დამხვევი პროგრესისა მაინც ნახევრათ მშიერული და ღატაკურია—მაშინ კაპიტალის ჭარბობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მაგრამ მაშინ ხომ კაპიტალიზმი კაპიტალიზმიც აღარ იქნებოდა, რადგანაც განვითარების არათანასწორობაც, ხალხის ნახევრათ მშიერული ცხოვრებაც წარმოების ამ წესის ძირითადი, აუცილებელი პირობებია.

სანამ კაპიტალიზმი კაპიტალიზმათ რჩება, ჭარბი კაპიტალი იმას კი არ ხმარდება, რომ მასის ცხოვრება გააუმჯობესოს ამ მოჭარბების ქვეყანაში,—ეს კაპიტალისტების მოგების შემცირება იქნებოდა, არამედ ის ხმარდება მოგების მომატებას კაპიტალის საზღვარ გარეთ ჩამორჩენილ ქვეყნებში გატანით.

ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში სარგებელი საერთოთ დიდია, რადგანაც კაპიტალი ცოტაა, მიწის ფასი შედარებით პატარაა, სამუშაო ქირა დაბალია და ნედლი მასალა—იაფი.

ჩამორჩენილი ქვეყნები უკვე ჩათრეული არიან მსოფლიო კაპიტალიზმის ფერხულში, იქ გაყვანილია რკინის გზები, ან დაწყებულია მათი გაყვანა, იქ უზრუნველ ყოფილია მრეწველობის განვითარების ელემენტარული პირობები, ამის გამო კაპიტალის გატანა ამ ქვეყნებში ადვილდება.

მეორე მხრით, ზოგიერთ ქვეყნებში კაპიტალიზმი გადამწიფდა და რადგანაც მიწათ-მოქმედების განუვითარებლობა და მასის სიღატაკე არავის აწუხებს, კაპიტალს ველარ უშოვნია ასპარეზი, სადაც სარფიანათ შეიძლებოდეს მისი გამოყენება. ეს გარემოება აიძულებს მას ჩამორჩენილ ქვეყნებში ეძებოს თავისი ასპარეზი.

ჩვენ ვხედავთ, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში საშინლათ ვითარდება კაპიტალის უცხო ქვეყნებში გატანა. ომის დაწყებამდი სამ უმთავრეს სახელმწიფოს 145—200 მილიარდი ფრანკი ქონდა გატანილი სხვა ქვეყნებში. 5 პროც. რომ ვიანგარიშოთ, ამ ჯამის შემოსავალი წლიურათ 8-10 მილიარდ ფრანკს უდრის. უმდიდრესი სახელმწიფოების ხელში ეს სრულიათ საკმარისი საფუძველია, რომ მათ აწარმოეონ იმპერიალისტური ჩაგვრა, ყვლეფონ ნაციების და ქვეყნების უმრავლესობა, და მით საკუთარ კაპიტალისტთა კლასის მუქთა-ხორობა უზრუნველ ყონ!

იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალი შედის, გასაოცარი ნაბიჯით ხდება კაპიტალიზმის განვითარება. ამიტომ, თუ ერთის მხრით კაპიტალის გატანა იმ ქვეყნებში, საიდანაც ის გადის, რამოდენიმეთ განვითარების შეჩერებას იწვევს, სამაგიეროთ მთელ ქვეყანაში არ შეიძლება არ გაღრმავდეს და არ გაფართოვდეს კაპიტალიზმის განვითარება.

ის ქვეყნები, საიდანაც კაპიტალი გადის, „სარგებლობას“ ნახულობს ახალ ქვეყანაში და ყველა ცდილობს ეს „სარგებლობა“ სხვას არავის დაუთმოს. ხდება ერთგვარი შეცილება კაპიტალისტური ქვეყნებს შორის, რათაც სარგებლობენ ჩამორჩენილი ქვეყნები, რომლებიც ამის გამო ადვილათ შოულობენ საჭირო კაპიტალს.

კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე ნამდვილი კომედია სწარმოებს. ფულის ბაზარზე გამოდის მთელი რიგი უცხო სახელმწიფოებისა—ისპანია და ბალკანეთი, რუსეთი და არგენტინა, ბრაზილია და ჩინეთი; ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რომ მათ სესხი მიეცეს. ფულის ბაზარი საერთოთ ვერ ადის კარგ მდგომარეობაზე. მაგრამ სესხზე უარის თქმას ვერავინ ბედავს იმის იმიშით, რომ მეზობელმა არ დაასწროს და სესხის მიცემით სხვა რამე საქმეც არ მოიჭახრაკოსო. ფულის გამსესხებელი ქვეყანა უეჭველათ რაიმე დათმობას იღებს მოვალე ქვეყნიდან: სარფიანი სავაჭრო ხელშეკრულება, ნახშირის სადგური, ნავთსადგურის აშენება, მსუქანი კონცესია, ზარბაზნების დაკვეთა—აი რა იზიდავს უცხო კაპიტალს ჩამორჩენილ ქვეყანაში მაშინაც კი, როდესაც ადგილობრივათ ჭარბათ არ მოიპოვება ფული.

ფინანსიური კაპიტალი მთელ ქვეყანას თავის ბადეში აბევს. ამ მხრით დიდ როლს თამაშობენ ბანკები და მათი განყოფილებები, რომლებსაც კოლონიებში აარსებენ. გერმანიის იმპერიალისტები შურით უყურებენ ძველ კოლონიალურ ქვეყნებს, რომელნიც ამ მხრივ მშვენიერათ მოეწყვენ. ინგლისს 1904 წ. 50 კოლონიალური ბანკი ქონდა 2279 განყოფილებით; საფრანგეთს—20 ბანკი 136 განყოფილებით, ჰოლანდია—16 ბანკი 68 განყოფილებით, გერმანიას კი სულ 13 ბანკი 70 განყოფილებით.

სამაგიეროთ ამერიკის კაპიტალისტები ინგლისის და გერმანიის კაპიტალისტებს უყურებდნენ. ინგლისმა და გერმანიამ ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში არგენტინაში, ბრაზილიაში და ურაგვაიში 4 მილიარდი დოლარი მოათავსეს და შედეგათ ამ სამი ქვეყნის ვაჭრობის 46 პროც. თითონ დაინარჩუნეს.

კაპიტალის გამტანმა ქვეყნებმა მთელი ქვეყანა ერთმანეთ შორის დაიყვეს. ფინანსიურმა კაპიტალმა მოახდინა ქვეყნის დაყოფა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

## ყალბი პროკლამაცია.

თუ როგორ ხეობს და სიყალბეს მიმართეს ამ ბოლო დროს კადეტებმა, ეს ცხადზე უცხადესათ სჩანს შემდეგ მათ მიერ შეთითხნილ პროკლამაციიდან:

„პროლეტარებო, ყველა ქვეყნების, შეერთდით“!

ამხანაგებო! ჩვენ შევიტყვეთ ალმაშფოთებელი სამარცხვინო ამბავი, რაც ზურგში სცემს მახვილს განთავისუფლებულ მუშათა და გლეხთა პროლეტარიატს და უკანვე გვიბრუნებს ბურჟუაზიისა და მემამულეების უკვე დამხობილ ბატონობას და მსოფლიო იმპერიალიზმის უღელს.

როგორც აღმოჩნდა, ხალხის მთავრობის მთავარი შტაბის ყველა განკარგულებათა და მოქმედებათა მონაწილეა თურმე კაიზერ ვილჰელმის საძაგელი მალალხარისხოვანი აფიცრობა, რომელიც საზოგადოთ ჩვენი სამხედრო შტაბის ყველა იმ ბრძანების გამოცემაში მონაწილეობას იღებდა, რომლებიც კერენსკის მომხრე „შაიკების“ წინააღმდეგ არის მიმართული. აი ამ ახალი მეგობარ აფიცრების სახელი და გვარი: (აქ ჩამოთვლილია 5 გერმანელი აფიცრის სა[ხ]ელი და გვარი).

ყველა ისინი გერმანიის გენერალურ შტაბის აფიცრებია, გარდა ერთი ავსტრიულისა. ამხანაგებო, რას გავს ეს! ჩვენ დღემდე გვწამდა ჩვენი ლენინი და ტროცკი, რომლებმაც ჩვენ აღგვითქვა: ძალა-უფლება, მიწა და თავისუფლება. ამბობენ, რომ ისინი გერმანიიდან მოვიდნენ, მარა ეს ჩვენთვის სულ ერთი იყო თუ კი მოგვცემდენ მას, რაც აღგვითქვეს. მაგრამ, სჩანს, ჩვენ მოვტყუვდით.

ვის უნდა ვენდოთ აწი?

ჩვენ ვერ გავყვებით თავლაფ დასხმულ კერენსკის და ბურჟუებს: მარა ლენინიც და ტროცკიც ნემეც აზნაურებთან და ბარონებთან ერთათ ჩვენი მტრებია. იცოდეთ ეს ყველამ; ამას ჩვენ გვეუბნებიან პატიოსანი რევოლიუციონერები, ბალშევიკების მეგობრები—ინტერნაციონალისტები.

ძირს იმპერიალიზმი და მისი ლაქიები!

გაუმარჯოს მუშათა რევოლიუციას და მსოფლიო პროლეტარიატს“.

ასეთია პოლიტიკური სიყალბე ყალბი ფულის მჭრელებისა, ცილის მწამებელ მატყუარა კადეტებისა. მათ კიდევ სცადეს გამეორება იმის, რაც პეტერბურგში ივლისის დღეებში მოხდა პერევერზევის და აქვსენტიევის მეოხებით, მაგრამ დროზე მიასწრეს მათ და აშკარა სიყალბეში დაიჭირეს. ახლა ყველაფერი დღის სინათლეზეა გამოტანილი და ყოველ მუშას და სალდათს მხოლოთ ღიმილს თუ მოგვრის მათი ყალბი „ფურცელი“ „მსოფლიო პროლეტარიატის სასახელოთ.“

## რუსეთის ქრონიკა.

### კადეტთა შეთქმულება რევოლიუციის წინააღმდეგ.

საგამომძიებლო კომისია დატუსაღებულ შეთქმულთა გამოკითხვას შეუდგა.

პირველათ დაკითხეს შავრაზმელების წინამძღოლს პრივატ-დოცენტს გვარათ გრომოვს. შავრაზმული პროკლამაციები, რომლებიც გრომოვს უნახეს, გადაცემული ყოფილა თავად კეკაუტოვის მიერ და მის „კნეინასაგან.“ როგორც ეტყობა ამ პროკლამაციების ავტორი იგავე კეკაუტოვი უნდა იყოს.

თავადი კეკაუტოვი არის კადეტების პარტიის წევრი. გაჩხრეკის დროს, სხვათა შორის მას კადეტთა პარტიის საწევრო ბილეთიც უპოვეს.

### შავრაზმელთა ლიდერის გრომოვის „ჩვენებიდან“.

სამხედრო საგამომძიებლო კომისიის გამომძიებელს მე, პეტროგრადის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელმა ალექსანდრე გრომოვმა მოცემულ კითხვებზე ვუპასუხე: 1) პროკლამაცია, რომლის სათაურია „პროლეტარებო ყველა ქვეყნების შეერთდით“ და რომლის ერთ-ერთ ეგზემპლიარზე ჩემი საკუთარი ხელით ჩემი სახელი და გვარია აღნიშნული, მიპოვეს მე ჩემს ბინაზე გაჩხრეკის დროს 5-6 დეკემბრის ღამეს.

2) 20 თასი ცალი პროკლამაცია ჩემს ბინაზე მოიტანა ეტლით უცნობმა პირმა როცა მე შინ არ ვიყავი; თუმცა ეს ჩემი თანხმობით მოხდა, მარა მე არ მეგონა პროკლამაცია თუ ასე ბევრი იქნებოდა.

3) მე თანახმა გავუხდი თავად კეკაუტოვს, რომ გაგვევრცელებია მცხოვრებთა შორის პროკლამაცია, რომლის ტექსტი თავადმა თვითონვე წამიკითხა თავის ბინაზე და მეც შევპირდი გავრცელებას, მაგრამ არ ვიცი რომელ ჩვენგანს მოუვიდა ასეთი აზრი თავში.,

ხელს აწერს ა. გრომოვი.

### პეტროგრადის ყაზახები.

პეტროგრადის ყაზახების თათბირმა დაადგინა: დაუყონებლივ შესდგეს რაზმი: პეტერბურგში მყოფ დონის, უბანის და თერგის ყაზახებისა მთავარ სარდლის განკარგულების თანახმათ გაიგზავნოს ის ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ იქიდან გაძევებულ იქნან რეაქციონური გენერალები და ძალა-უფლება გადაეცეს მშრომელ ხალხს.

### უკრაინის დამფუძნებელი კრების მოწვევა.

უკრაინის რადამ გადასწყვიტა უკრაინის დამფუძნებელი კრების არჩევნები 27 დეკემბრისთვის მოაწყოს. საარჩევნო ოლქები ისევე დარჩება როგორც სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის იყო.

### „ეროვნული ხალხის პარტია“.

წასულ კვირაში, პეტროგრადის მენშევიკებმა შეერთებული სიეზდი გამართეს. ამ სიეზდმა შემდეგი საგულისხმო ფაქტები გამოააშკარავა:

სიეზდი ცდილობდა შეერთებია მენშევიკების სხვა და სხვა ჯგუფები, რომლებიც ერთი მანძილით დაშორდენ ერთი მეორეს, მაგალითათ აქ იყვნენ „ინტერ ნაციონალისტები ლ. მარტოვის მეთაურობით და „ურაპატრიოტებიც“, პეტროსოვის ხელმძღვანელობით მათ აერთებდა ცნობილი დანი.

როგორც გამოირკვა, მენშევიკები მუშათა საბჭოებში თუ წინათ ერთ მესამედს მაინც შეადგენდენ, დღეს ისინი სრულიათ უმნიშვნელო ჯგუფს წარმოადგენენ. დამფუძნებელი კრების არჩევნებში ხომ სრული დამარცხება განიცადეს. დღემდე რუსეთში სულ ორი თუ სამი მენშევიკია დეპუტატათ არჩეული, მოსკოვში მაგალითათ მათ სულ ხმების 2, 5 პროც. მიიღეს

### ჩარაღდანი.

გამოვიდა ახალი გაზეთის „ჩირაღდანის“ №1, რომელიც გამოსცა რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობამ გერმანულ ენაზე გერმანელ სალდათებისათვის. 7 დეკემბრიდან მრავალი ცალი ამ გაზეთისა ფრონტებზე იგზავნება.

### საბჭოთა მოქმედება.

მეფის სოფლის მუშათა საბჭომ სახალხო კომისარების საბჭოს დაუკითხავათ ადგილობრივი საქალაქო საბჭო დაშალა და ხელახალი არჩევნები დანიშნა.

### უკრაინელებთან ბრძოლა მწვავდება.

როგორც „კავკასკოე სლოვოს“ კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩრდილოეთის ფრონტიდან პეტროგრადში ბევრი დაჭრილი მოიყვანეს: იქ შეტაკება მოხდა უკრაინელებსა და ბალშევიკებს შორის. მწვავდება ურთიერთობა აგრეთვე თვით პეტროგრადშიაც: უკრაინელ მუშებსა და ბალშევიკებ შორის.

### პეტროგრადის ქარხნებში.

პუტილოვის ქარხანა, როგორც თავდაცვის საქმეზე მომუშავე, შეაჩერეს უმუშევრათ რჩება 16 ათასი კაცი.

„ტრეუგოლნიკის“ ფაბრიკის „შავმა მუშებმა“ მოითხოვეს ქირის გათანასწორება წითელგვარდიელების ქირასთან.

### საბჭოს ახალი პრეზიდიუმი.

პეტროგრადის მუშათა საბჭომ ახ ლი პრეზიდიუმი აირჩია.

თავმჯდომარეთ— ზინოვიევი: საპატიო თავმჯდომარეებათ: ლენინი, ტროცკი და სპირიდონოვას ქალი.

### კალედინის სამეფოში.

კალედინის სატახტო ქალაქიდან ნოვოჩერკასკიდან იუწყებიან, რომ რუსეთის „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის“ მთავრობა თავის მოქმედებას თანდათან ანვითარებს. კავშირი შეკრულია ყაზახთა ჯარებისა, კავკასიის მთიულთა და თერგისა და სტავროპოლის გუბერნიის ველმინდორთა მცხოვრებლებს შორის. კავშირი მიზნათ ისახავს რუსეთში დაამყაროს „საუკეთესო“ სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება, მოიწვიოს დამფუძნებელი კრება და დაარსოს ფედერატიული რესპუბლიკა. კავშირის (შტატის) მთავრობას განზრახვა აქვს დეკრეტი გამოსცეს, რომლითაც ის მთელი კავშირის სახელმწიფოს მთელი ქონების მართვა-გამგეობას შეუდგება და თავის ქვეშევრდომთ გადასახადებს შეაწერს: საკუთარი ბიუჯეტის შედგენის შემდეგ იგი საკუთარ ფულის მოჭრასაც შეუდგება, კავშირის ყველა წევრთა ქონებით მრეწველობის შემოსავლით უზრუნველყოფილი იქნება.

თავისი ნებით სამსახურიდან გასული კალედინი ყაზახთა ჯარების წრემ ხელ ახლავ აირჩია თავის ატამანათ.

## პროტესტი

ღრმად აღშფოთებულნი თფილისში მომხდარ უკანასკნელ ემბების გამო, რომელიც გამოიხატებოდა მენშევიკობორონცებისაგან წაქეზებით ჩვენი გაზეთების რედაქციების დარბევა და ათას გვარ უმსგავსო პოგრომული საქმეებით, სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ამ კონტრ-რევოლიუციონური „სოციალისტების“ წინააღმდეგ. უსურვებთ ჩვენს გაზეთებს „ბრძოლას“ და „Кавк. Раб.“ სიმხნევეს და რევოლიუციონურ გამბედაობას: მხოლოდ მათ არ შეულახავთ და არ დაუსვრიათ პროლეტარიატის და ჩაგრული ხალხის სისხლით შეღებილი თავისუფლების დროშა.

გაუმარჯოს რუსეთის ახალ რევოლიუციას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის მიზნებს, გუძლევნით გულწრფელ რევოლიუციონურ სალამს. გიგზავნით „ბრძოლის“ ფონდისათვის 155 მ.

პიათურის ბალშევიკური ჯგუფი.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**დ. ჩოხატაური.** ადგილობრივ უმაღლეს პირველ დაწყებითი ოთხ-კლასიან სასწავლებელში ახალ გაზრდა მარქსისტთა შორის გაიმართა დისკურსიები თუ რა განსხვავებაა მენშევიკ-ბალშევიკებს შორის.

კრებაზე მოწვეული იყო ორივე პარტიის წევრები. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნენ კონსტანტინე წიტაიშვილი (მენშევიკი) და მიხაკო სიხარულიძე (ბალშევიკი). პირველათ მოხსენებას აკეთებს ამხ. ხალამპრე კეკელიძე. შემდეგ ბალშევიკების მხრით ოპონენტობა იკ[...] რა ამხ. გიორგი ფოფხაძემ, რომელმ[...] შესაფერი პასუხი გასცა ამხ. კეკელიძ[...] შემდეგ ორატორთა მხრით ჩაეწერენ [...] მოღენიმე პირები, როგორც ერთ[...] მხრით, ისე მეორის, რის შემდეგაც კრ[...] დაიხურა.

რთინოვი.

**დ. ცაგერი.** (ლეჩხუმის მაზრა) 19[...] წლიდან ნელნელა ვერკვევოდი 19[...] წლამდე. თერთმეტში უკვე ჩემი თა[...] ნამდვილი სოციალ დემოკრატი მეგონ[...] 1912 დან ს.-დ. ორგანოს პატარა კ[...] რესპოდენტიც გავხდი და 1917 წლამდ[...] შეძლების დაგვარათ ვემსახურებოდი ს[...] მართლიანობას. იმ ხანებში ხშირათ მე[...] ყოდენ ნაცნობი ძმა ბიჭები: კაცო, რა[...] ტომ ვაჭრობას არ დაიწყებ, მაგას არა[...] ფერი ხეირობა არ სჯობია. მეც ჩემე[...] ბურათ ვუპასუხებდი. არა, ძმაო, ვაჭრო[...] ბაში მე ვხედავ ნებადართულ ქურდობა[...] რომელიც მიმართულია ღარიბი ხალხ[...] გასაყვლეფათდა, ამისათვის არა მსურს ვი[...] ვე საზიზღარი მოხელემეთქი. წელს ძველ[...] რუსეთის დანგრევას ხომ ყველა აღფრთო[...] ვანებით შეხვდა, მაგრამ ძლიერ მიკვირდ[...] გუჩკოვი, მილიუკოვი, კონოვალოვ, თავა[...] დი ლვოვი და ძმანი მათნი რატომ ბე[...] დავდნენ კიდევ ძველებურათ ბატონობა[...] და ბრძანებას; მაგრამ თურმე ნუ იტყ[...] ვით, საქმე სხვანაირად ყოფილა: რა ვი[...] ცოდი, თუ ჩვენი მოძღვრები კადეტები[...] ფანდურზე მშრომელი ხალხის საუბედუ[...] როთ, დაულურს უვლიდნენ? მართალ[...] მოგახსენოთ, ვისაც უნდა ვერწმუ[...] ნებიე, ვერ დავიჯერებდი, რომ რუს[...] ს. დ. მ. პარტია ბურჟუაზიულ[...] მთავრობას შექმნიდა და ფრონტებზ[...] სისხლიდან დაცლილ რუსეთის დაჩაგ[...] რულ ხალხს ომს გაუგრძელებდა დ[...] მით დაქანცულ სხეულზე ახალ ბორკი[...] ლებს დაადებდა. ეს იყო ჩემი განცვი[...]ფრების მიზეზი, მაგრამ მიმდინარე წლი[...] ივნისში უკვე დავრწმუნდი, თუ [...] ყოფილა მშრომელი ხალხის ინტერეს[...] ბის დამცველები: მაშ გაუმარჯოს ღა[...] რიბი ხალხის საკეთილდღეოთ რ. ს[...] დ. მ. პარტიას ბალშევიკებისას...

გლეხი გიორგი ხეცურიანი.

## ბ რ ძ ო ლ ი ს ფ ო ნ დ ი.

უძღვნი ჩემს წვლილს მარქსის ნაან[...] დერძევ მიზნისკენ მიმავალ ჩვენს გაზე[...] თებს „ბრძოლას“ 25 მ. და „კავკაზსკ[...] რაბოჩის“ 25 მ. გაუმარჯოს რუსეთის[...] სოც. დემ. მუშათა პარტიას. გორელ[...] ქანანეიშვილი.

## კრებები და მიტინგები.

თბილისის მე-2 რაიონის ბალშევიკურ[...] ორგანიზაცია დღეს, ოთხშაბათს, 20 დეკემბერს ივქალის სახალხო აუდიტო[...] რიაში გამართავს ლექციას, რომელსაც წაიკითხავს ამხ. შაუმიანი.

თემა: „შეირჩენენ თუ ვერა ბალშევიკები სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას“[...] დასაწყისი სალ. 6 საათზე. შესასვლელი[...] ბილეთის ფასი 60 კ. სალდათებისათვის 30 კ.

მეორე რაიონის კომ. ბიურო.

დღეს, ოთხშაბათს, 20 დეკემბერს საღამოს 8 საათზე ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა, 18, შედგება რწმუნებულთა საბჭოს კრება. დღის წესრიგი: 1) კავკასიის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელთა საოლქო კონფერენციის დელეგატების არჩევა, 2) ტარიფი, 3) ჟურნალი.

ვთხოვთ ამხანაგ რწმუნებულთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

გამგეობა.